სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2018-2019
სასწავლო წელი

პირველკურსელთა ინსტიტუციური და სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში

უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობა უზრუნველყოფს ხარისხიანი სასწავლო და კვლევითი პროცესების წარმართვას, დაწესებულების სტრატეგიული გეგმების მიღწევას და მის განვითარებას. მართვის ეფექტიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები ტარდება გარკვეული პერიოდულობით და მასში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი და სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;

უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.

უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის მიღწევის შემოწმების მიზნით (მონიტორინგი), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება სხვადასხვა სახის: რაოდენობრივი, თვისებრივი, შერეული კვლევა/შეფასება/ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ საკითხის გამოვლენას, რომელიც უნივერსიტეტისთვის გასათვალისწინებელი ან დასაგეგმი იყო, საჭიროებდა გადახედვას, კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში - რეაგირებას, პოლიტიკის შეცვლას ან უკვე მიღწეულის იმპლემენტაციას ანუ სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას, შეფასების სისტემისა და მინიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმების გააქტიურებას. სტრუქტურული ერთეულები ამზადებენ წლიურ ანგარიშებს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტის წლიური ანგარიში თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მეშვეობით.

შემუშავებული გეგმის ფარგლებში მიღებული კვლევის შედეგები ეგზავნებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებს, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და იმ სტრატეგიას, რომელიც ინსტიტუციის განვითარებას მიიყვანს დასახულ ნიშნულამდე. კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების

ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, კვლავ ფასდება შემდგომ დაგეგმილი და განხილული მეთოდების შესაბამისად და ახლიდან იწყება „PDCA“ ციკლი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე – სტუდენტთა ინსტიტუციური და რესურსებით კმაყოფილების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კვლევის მიზანი:

2018-2019 სასწავლის დასასრულს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავდა კითხვარი და ჩატარდა პირველკურსელი სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტების კმაყოფილების დადგენას უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასთან, გარემო პირობებთან, სასწავლო პროცესთან და სხვა დაკავშირებით. აგრეთვე გამოკვეთილიყო ის გასათვალისწინებელი საკითხები, რომელიც ვლინდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და საჭიროებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან რეაგირებას.

გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი და ანონიმური ხასიათისაა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად. კითხვარი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.



სტუდენტთა მახასიათებელები:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველ კურსზე სწავლობდა 310 სტუდენტი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 96, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 110, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე - 37, იურიდიულ ფაკულტეტზე - 77 სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 173 სტუდენტმა. შესაბამისად, მათი ჩართულობა ფაკულტეტების მიხედვით გვაძლევს ასეთ სურათს. კვლევაში მონაწილე 173 სტუდენტი ანუ 100% ფაკულტეტების მიხედვით ასე გადანაწილდა:

35,2% - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მონაწილეობდა;

29,5% - იურიდიული ფაკულტეტიდან;

25,4% - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან;

9,8% - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.

1 კითხვაზე - ,,რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის უმაღლესი განათლების მიღება?

86,7%-მა უპასუხა: ძალიან მნიშვნელოვანია;

11%-მა უპასუხა: ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, ხოლო

2.3%-მა უპასუხა: უმნიშვნელოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ უმაღლესი განათლების მიღება საკმაოდ მნიშვმნელოვანია.

რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი)

173 პასუხი



2 კითხვაზე - რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ერთ სტუდენტს უფლება ჰქონდა დაეფიქსირებინა ყველა მისთვის მისაღები პასუხი).

23 სტუდენტი - 13,3%-მა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი პრესტიჟულია;

13 სტუდენტი - 7,5%-მა - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩნებელი აქვს;

114 სტუდენტი - 65,9%-მა - ტერიტორიულად ხელმისაწვდომია;

57 სტუდენტი - 32,9%-მა ხელმისაწვდომია ფინანსურად;
32 სტუდენტი - 18,5%-მა - გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით;
39 სტუდენტი - 22, 5%-მა აქვს სახელმწიფო მხარდაჭერა;
17 სტუდენტი - 9,8%-მა - სპეციალობების ფართო არჩევანი აქვს;
33 სტუდენტი - 19,1%-მა აქვს სწავლების სამივე საფეხური;
21 სტუდენტი 12,1%-მა - პერსპექტიულია;
15 სტუდენტი - 8,7%-მა აქვს კარგი იმიჯი/რეპუტაცია;
34 სტუდენტი - 19,7%-მა აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო;
15 სტუდენტი - 8,7%-მა - ჩაბარება ადვილია;
12 სტუდენტი - 6.9%-მა - სწავლა ადვილია.

კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა, ანუ გამოკითხულთა 65,9% სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან არის და მათთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი ტერიტორიულად ხელმისაწვდომია. 32, 9%-ის მოსაზრებით, ხელმისაწვდომია ფინანსურად, სტუდენტების 22,5% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს აქვს სახელმწიფო მხარდაჭერა. სტუდენტების 19,7% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, სტუდენტების 19, 1% მიიჩნევს რომ უნივერსიტეტს აქვს სწავლების სამივე საფეხური, გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით და აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი, სტუდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტს აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიული და მაღალი რეპუტაციის უნივერსიტეტია.

ეროვნული გამოცდების განაცხადის შევსებისას, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გეწერათ პირველ ადგილზე?

173 რესპოდენტი

გამოკითხულთა დაახლოებით 65% პირველ (დიაგრამაზე **1**) ადგილს ანიჭებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ნაწილი თსუ-ს, ნაწილი ილიაუნს.



1 2 1 1 1 2 1

3 კითხვაზე - ეროვნული გამოცდების განაცხადის შევსებისას, რომელი უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულება გეწერათ პირველ ადგილზე?

173 სტუდენტიდან 58 სტუდენტს - 33,5% პირველ ადგილზე ეწერა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4 კითხვაზე - ეროვნული გამოცდების განაცხადის შევსებისას, რომელ ადგილზე გეწერათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

173 სტუდენტიდან 58 სტუდენტს - 33,5% პირველ ადგილზე ეწერა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-4 კითხვებიდან: ეროვნული გამოცდების განაცხადის შევსებისას, რომელი საგანამანათლებლო დაწესებულება გეწერათ პირველ ადგილზე ან ეროვნული გამოცდების განაცხადის შევსებისას, რომელ ადგილზე გეწერათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი? სტუდენტების 33,5%-მა უპასუხა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი ეწერა პირველ ადგილზე.

რამდენად იყვნენ ჩართულნი უმაღლესი სასწავლებლის შერჩვისას თქვენი ოჯახის წევრები?



5 კითხვაზე - უმაღლესი სასწავლებლის შერჩვისას თქვენი ოჯახის წევრები?
იყვნენ ჩართულები - გამოკითხულ სტუდენტთა 41% მიუთითებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისას ოჯახის წევრები იყვნენ ჩართული;
ნაწილობრივ - გამოკითხულ სტუდენტთა 46.2% მიუთითებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისას ოჯახის წევრები ნაწილობრივ იყვნენ ჩართული;
არ იყვნენ ჩართულები - გამოკითხულ სტუდენტთა 12,7% მიუთითებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისას ოჯახის წევრები არ იყვნენ ჩართული.



6 კითხვაზე - რომელი საინფორმაციო საშუალებების დახმარებით შეიტყვეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?
გამოკითხულ სტუდენტთა 19,1%-მა უპასუხა, რომ **ინტერნეტის** საშუალებით შეიტყო სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის შესახებ;

გამოკითხულ სტუდენტთა მცირე ნაწილმა უპასუხა, რომ **ტელევიზიის** საშუალებით შეიტყო სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის შესახებ;
გამოკითხულ სტუდენტთა 4%-მა უპასუხა, რომ **გაზეთის** საშუალებით შეიტყო სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის შესახებ;
გამოკითხულ სტუდენტთა 49,7%-მა უპასუხა, რომ **მეგობრის/ახლობლის** საშუალებით შეიტყო სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის შესახებ;
გამოკითხულ სტუდენტთა 26,6%-მა უპასუხა, რომ **უბრალოდ შევარჩიე** სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის შესახებ;

როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს?
(პირველი შთაბეჭდილება)



7 კითხვაზე - როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება)?
კითხვაზე - პირველი შტაბეჭდილება უნივერსიტეტში შექმნილ გარემოსთან დაკავშირებით, მხოლოდ 26,6%-მა უპასუხა - ძალიან კარგად. 35,3%-ს მიაჩნია, რომ კარგია, 32,4%-ისთვის შექმნილი ატმოსფერო დამაკმაყოფილებელია.

სასწავლო სემესტრის დასაწისში დაგხვდათ თუ არა ცხრილი სათანადო ადგილზე გამოკრული?



8 კითხვაზე - სასწავლო სემესტრის დასაწისში დაგხვდათ თუ არა ცხრილი სათანადო ადგილზე განთავსებული?

დიახ - 90,8 %-მა

არა/დაგვიანებით - 9,2 %-მა

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კვლევას რაც შეეხება, გამოიკვეთა, რომ მეცადინეობების განრიგი დროულად იყო განთავსებული სათანადო ადგილას.



9 კითხვაზე - გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები-გარემო (აუდიტორია, გათბობა...)?

სასწავლო გარემოთი სრული ყმაყოფილება გამოხატა 39,3 %-მა, 45,1 %-მა დააფიქსირა ნაწილობრივი კმაყოფილება, ხოლო 15,6 %-მა - უკმაყოფილება. აღნიშნული პასუხები დასაფიქრებელია, მაგრამ სტუდენტებს, არ მიუთითებიათ, კონკრეტულად რომელი საკითხი იწვევდა მათ ნაწილობრივ ან სრულ უკმაყოფილებას.

გაკმაყოფილებთ თუ არა უნივერსიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები?



10 კითხვაზე - გაკმაყოფილებთ თუ არა უნივერსიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები?

უნივერსიტეტში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენური პირობებთან დაკავშირებით - 38,7 %-მა გამოხატა კმაყოფილება, ნაწილობრივ აკმაყოფილებს - 44,5 %-ს, ხოლო არ აკმაყოფილებსგამოკითხულთა 16,8 %-ს. ეს საკითხიც საყურადღებოა.



11 კითხვაზე - კმაყოფილი ხართ თუ არა უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო დახმარებით?

უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო დახმარებით კმაყოფილია - 46,2%, ნაწილობრივ კმაყოფილია - 33,5%, ხოლო უკმაყოფილოა -20,2 %.



12 კითხვაზე - იცით თუ არა, რას ნიშნავს კრედიტი და როგორ შეიძლება მისი დაგროვება? კრედიტის მნიშვნელობისა და მოპოვებისშესახებ ინფორმირებულია იყო სტუდენტთა 80,9 %, გამოკითხულთა 13,9 %-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ იყვნენ ინფორმირებული, ხოლო - 5,2 % ვერ ერკვეოდა კრედიტის მნიშვნელობაში.



13 კითხვაზე - ლექტორმა კურსის დაწყებისთანავე წარმოგიდგინათ თუ არა შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი?

კითხვაზე, ლექტორებმა გააცნეს თუ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი - გამოკითხულ სტუდენტთა 63 %-მა უპასუხა, რომ ყველა ლექტორმა გააცნო, 33,5% უპასუხა, რომ ნზოგიერთმა ლექტორმა გააცნო, ხოლო - 3,5 %-მა უპასუხა, რომ არცერთ ლექტოტს არ გაუცნია სილაბუსი.



14 კითხვაზე - სიოლაბუსი დაგეხმარათ თუ არა სწავლების ორგანიზებაში?

კითხვაზე წარმოდგენილი სილაბუსი დაეხმარათ თუ არა სტუდენტებს სასწავლების ორგანიზებაში, გამოკითხულ სტუდენტთა 61,3 % პასუხობს, რომ ძალიან დაეხმარა, 34,1%-ს მიაჩნია, რომ უმნიშვნელოდ დაეხმარა, ხოლო - 4,9 % მიიჩნევს, რომ არ დახმარებია.



პირველკურსელ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მე-**15 კითხვაზე** - ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა? დიახ, ხელმისაწვდომია, უპასუხა - 54,3 %-მა; ნაწილობრივ ხელმისაწვდომია, უპასუხა - 38,7 %-მა, არ არის ხელმისაწვდომი, უპასუხა - 7 %-მა.



კმაყოფილების კვლევის მე-**16 კითხვაზე** - გაკმაყოფილებთ თუ არა ბიბლიოთეკის ინტერიერი?

დიახ, გვაკმაყოფილებს ბიბლიოთეკის ინტერიერი, უპასუხა - 57,8,%-მა. ნაწილობრივ გვაკმაყოფილებს ბიბლიოთეკის ინტერიერი, უპასუხა - 33,5 %-მა, არ გვაკმაყოფილებს ბიბლიოთეკის ინტერიერი, უპასუხა - 8,7 %-მა

ბიბლიოთეკაში რამდენად სწრაფად და სრულად ხდება თქვენი დაკმაყოფილება საჭირო ინფორმაციით?



კმაყოფილების კვლევის მე-**17 კითხვაზე** - ბიბლიოთეკაში რამდენად სწრაფად და სრულად ხდება თქვენი დაკმაყოფილება საჭირო ინფორმაციით?
საჭირო ინფორმაციით დაკმაყოფილება ხდება სწრაფად, უპასუხა - 75,1%-მა. საჭირო ინფორმაციით დაკმაყოფილება ხდება შეფერხებით, უპასუხა - 24,1 %-მა
უჭირთ კონსულტაციის გაწევა - 3,5 %-მა.

იცნობთ თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსს?



18 კითხვაზე - იცნობთ თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსს?
სტუდენტთა ეთიკის კოდექსს იცნობს გამოკითხულთა 54,9%, ნაწილობრივ იცნობს - 28,9 %, ხოლო არ იცნობს - 16,2 %.



19 კითხვაზე - როგორ შეაფასებდით თქვენს არჩევანს, გესწავლათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

მოლოდინი გამიმართლა სამცხე-კავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებით, უპასუხა - 45,7 %-მა, მოლოდინი ნაწილობრივ გამიმართლდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ - 45,1 %-მა, ხოლო უკმაყოფილო ვარ, მოლოდინი თითქმის არ გამიმართლდა - 9,2 %-მა.

ზოგადი დასკვნები/მიგნებები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ხარისხის სამსახურმა მოახდინა ძლიერი და გასაუმჯობესებელი საკითხების იდენტიფიცირება. კერძოდ,

- კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა, ანუ გამოკითხულთა 65,9% სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან არის და მათთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი ტერიტორიულად ხელმისაწვდომია;
- 32, 9%-ის მოსაზრებით, ხელმისაწვდომია ფინანსურად;
- სტუდენტების 22,5% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს აქვს სახელმწიფო მხარდაჭერა;
- სტუდენტების 19,7% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო;
- სტუდენტების 19, 1% მიიჩნევს რომ უნივერსიტეტს აქვს სწავლების სამივე საფეხური, გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით და აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი;
- სტუდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტს აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიული და მაღალი რეპუტაციის უნივერსიტეტია.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- სასწავლო გარემოსთან (აუდიტორია, გათბობა) მიმართებაში სრული ყმაყოფილება გამოხატა 39,3 %-მა, 45,1 %-მა დააფიქსირა ნაწილობრივი კმაყოფილება, ხოლო 15,6 %-მა - უკმაყოფილება. აღნიშნული პასუხები დასაფიქრებელია, მაგრამ სტუდენტებს, არ მიუთითებიათ, კონკრეტულად რომელი საკითხი იწვევდა მათ ნაწილობრივ ან სრულ უკმაყოფილებას.

- უნივერსიტეტში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენური პირობებთან დაკავშირებით - 38,7 %-მა გამოხატა კმაყოფილება, ნაწილობრივ აკმაყოფილებს - 44,5 %-ს, ხოლო არ აკმაყოფილებს გამოკითხულთა 16,8 %-ს. ეს საკითხიც საყურადღებოა.

- უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო დახმარებით კმაყოფილია - 46,2%, ნაწილობრივ კმაყოფილია - 33,5%, ხოლო უკმაყოფილოა - 20,2 %.

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიდან ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის, რესურსებისა და ინფორმაციული მომსახურების შესახებ მე-15-16-17 კითხვებზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევებით გამოიკვეთა, რომ არსებობს და გამართულია წვდომა საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურასთან, ბაზასთან, კოლექციებთან და სისტემებთან, მათ შორის პარტნიორებისა და კონსორციუმების გამოყენებით. ბიბლიოთეკას აქვს პროგრამული სისტემა openbiblio, რისი მეშვეობითაც ხდება მკითხველთა რეგისტრაცია, წიგნების მოძრაობას, რესურსების გაცნობა.

საინფორმაციო რესურსები: წიგნები, სახელმძღვანელოები, ატლასები, პერიოდული გამოცემები, კომპაქტ-დისკები, ვიდეო ფაილები და სხვ. განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ასევე ბიბლიოთეკის კომპიტერების შიდა ქსელის საშუალებით ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები. მომხმარებელს მოთხოვნის შესაბამისად 24 საათის განმანვლობაში ეგზავნება ელექტრონული წიგნი მისთვის სასურველ ელექტრონულ ფოსტაზე.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გადაეგზავნა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ობიექტურად შეაფასებენ პრობლემას, გაანალიზებენ გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებს, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და იმ სტრატეგიას, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და დროში განსაზღვრული და გამოხატავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე, რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას, უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას და სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.